


ბზივი

№ 2

„ბზივი“ იკორისტული წერილების კრებულია. რედაქტორი არის თანამშრომლებს, გამოგზავნონ მასალები შემდეგ ადრესით: **Контора о-ва „Ахашени“ на двор-ной ул. домъ дворянства № 126, С. Гачечиладзе.**



ჩვენც გვყოლია პესტალოცი, —
უფაქიზებს ბოგშვებს ჭკუას
და არიგებს არ გაირყენენ,
არ ეწაფონ ტკბილ ნუნუსს!..

ამიტომაც კურდღლის ზურგსა
მოაცილა მან მაქარი,
ნაცვლად აჰკიდა კომბოსტო
ნორჩი, მწვანე და ახალი.

ჩემი აღსარება.

ეს! დაიწყეველოს ბარემლა
ჟურნალ გაზეთის ღღენია,
ჩვენი დარდი და ვარამი
ვერ მოსთვლით იმოღენია:

ხან ცენზორი გესპობს უდროვით,
ხან გვემუქრება მთავრობა,
ხან კინკლაობენ მწერლები
და უნდათ ჩვენი დაშობა!

მეც გამოვცადე ყველა ეს
და მიტომ მტკივა გულია,
რომ ყველა ერთათ წიხლსა მცემს
უცხო და შინაურია!..

ჩემი გვარისა რვა მოღმა
ეშმაკსა ემონებოდა;
ეშმაკიც თავის მზრიდანა
ჩვენ გვარსა ეკონებოდა!

რაც საიდუმლო რამ ქონდა
ყველაფერს უზიარებდა —

სამავიეროთ ოქროებს უღწეო უღებინ
ჯიბეში იჩხრილობდა.

ბოლოს, კი როცა მამაჩემს
გროშები გამოვლია,
მიმართა ეშმაკს თხოვნითა,
რომ გაემართნა ხელია;

კოცა მოეკლო ხარჯისთვინ
ეკმარა მცირე „ოკლადი“,
მეგრამ ეშმაკსა მის ნაცვლად
დაწერა მთელი „დოკლადი“

და ამცნო მთელსა ქვეყანას,
რომ ეშმაკს არ აქვს ბრალია,
თუ ვისმეს „ბზიკმა“ უტბინოს,
გამოუთხაროს თვალია.

რომ ის მოყვრობდა მხოლოდღა
„ბზიკის“ მამა და პაპასა, —
აწ კი თუ ვისმეს უტბინა, —
მას ნუ მოსთხოვენ ამასა.

აპკვარათ დასთმო ეშმაკმა
ჩვენი სახლი არ კარია,
ეგონა ვითომ ამითი,
დღე მომაყენა შუარია;

მაგრამ მე მინც ვიბრძოლებ,
ძირს არ დაუშვებ ფარ—ხმალსა,
ჯაშუშვებს ქვა-ლოდს მივაყრი,
ქებას შევახსავ მართალსა!


ზოგს უტბენ, ზოგსა დეჩხვლეტავ,
მკრეღლია ჩემი ნესტარი, —
ეს მქონდა ძველათ ხელობათ
და დღესაც ისევ ეს არი!..

ნურაინ ფიქრობს მომისპოს
სიბერის დროსა დღენია,
იცოდეს—არ ვარ მარტოკა
კიდევ მყავს შვილნი ძენია! —

და ჩემს მაგიერ ისინი
გაილაშქრებენ მტერზედა,
არ გაყდიან სიმართლეს
სხვებსაებრ ოკრობზედა!

ზასუხს მოსთხოვენ „ისარსაც,“
რომ ჩემობს ექილობასა
და არა მკითხე მოამბის
დამგობენ მტერობასა.

ეშმაკის მოძულეული
ბზიკი.



ამ დროის ვიბრი

პირველ თქმულია ძველთაგან
სიყალბე თავადებისა,
მაშ ბანკის გამგესც ყაზახოვს
სჩანს, რომ არ ეძრახებინა; —

რომ მასზე უფრო მაღლა სდგას
პატიოსნებით „დვორნიკი,“
თუმც იგი ნავვის მუშაა
და არა „ექს-ჩინოვნიკი.“

დახ! „დვორნიკი“ სცხოვრობს მით,
რომ მქექავია ნავვისა,
ყაზახიშვილი გამგეა
თავდაზნაურთ ბანკისა;

მაგრამ ამ ორი ტიპის შორს
მეტათ უზომო მზღვარია:
„დვორნიკი“ მუშას მხარს უჭერს
(რა მისი შესაღარია?)

ყაზახივი კი ავთამყოფს
ქუჩაში ადგებს კოლითა,
ამის შემხედვი „დვორნიკი“
იგებთ მათი ცოდვითა!

განა მარტოლა ყაზახოვს
არ აქვს უმცროსის რიღია?!.
ყველა ამ ბანკში შემძვრალა
ქართველი ინვალიღია.

ავიღოთ კლიმიაშვილი —
ყაზახიშვილის მარჯვენა,

სქარბობს სიმხვეცეს გამგისას,
აგენტის საქმის ჩადენა:

ავლაბრის ერთ ერთ ქუჩაში
სცხოვრობდა მუშა სნეული,
კაპიტალისტთა წყალობით
უსაქმით გადაქცეული;

ექვსი თვე იწვა ქვეშავებს,
შეპყრობილ იყო სენითა,
იმის ცოლშვილის ვაებას
კაცი ვერ მოსქვამს ენითა...
არ ქონდა საწყაღს საღსარი
მიეცა სახლის ქირები,
კოლი ფეხშველა დაყავდა,
მშვიერები ყავდა შვილები.

გავიდა თვე და მოადგა
ქირისთვის კლიმიაშვილი,
შეყვირა მუშას ავთამყოფს,
შიშით დაუფრთხო ცოლშვილი:

— „იცი, შე მხეცო! რომ ქირას
გადახთა უნდა თვის თავსა?
და თუ ეხლავე არ მომცემ—
ვაი შენს ზურგს და შენს ტყავსა!..“

ან ეხლავე ჩამაბარევით,
ან გადიკარგეთ სრულიათ!
მერე რა ბანკის ბრაღია—
შენ შვილთ. თუ შიანთ-სწყურით?!.

ეს იცი კარგათ, რომ ბანკი
არვის შენარჩუნს ქირასა
და თუ უოჩობა გაბედე?!..
ბოქაუღს მოგვერი კვირასა! —

კარში გადგიყრი ქვეშავებს,
ავეჯებს დაგინიავებ;
თვითონ გაგზავნი ციხეში,
კოლშვილს კი დაგიგირავებ!..“

აქ კი ვერ შესძლო „დვორნიკმა“
თვალზე მოადგა კრემლები
და მოახსენა კლიმევს:
„— ბატონო, გემუღარები —

აღროვოთ ვიდრე მორჩება,
ვინემ იზოვის საქმესა,
რაკი საქმეზე დადგება“
ქირას მოგართმევთ სამ დღესა;

ჯერჯერობით კი ცოლშვილი
მშვიერ მწყურვალე უღღია,
თვითონ სიკვდილის პირსა დგას
და ყური ვერ მუღღია.“

გთხოვთ შეიბრაღოთ, ბატონო,
აღროვოთ მცირე ხანია!
მერემ კი ერთად გადიხდის
რაც ხედება შესატანია!..

ვერ მოითმინა აგენტმა
„დვორნიკის“ ესდენ ბრიყობა
და წაუშინა თავ-პირში
გამართა ქიღიღ, კრიგობა...
გაბუზნა ჩვენი „დვორნიკი,“
ამოუტყვია ყმები;

მორჩენება.

ეს ამბავი მოხდა ქველგებურ მემამულის სახლში. — ეს სახლი აშენებული იყო ძველი დროის გემოვნად — ერთი შეხედვით რაღაც ზღაპრულ კოშკს მიაგავდა, სასახლეს გარშემო უხსოვარი დროის ხეები ფარაშდა და ისე ჩაბნელებული იყო, რომ ძალა უნებურად ადამიანში რაღაც შიშს ბადებდა.

ამ სასახლეში ვეგვიე ჩემ მეგობარს პეტრე პეტრესძე პჭკიალაძეს ორის კვირით და, აი სწორედ ერთ საღამოს, როდესაც აღმოსავლეთის ქარი საშინლათ უბერავდა და უხარმაზარ ხეებს გრილით გაჰქონდა, მე და ჩემი მეგობარი თავისი ოჯახობით მოვეგროვდით დიდ დარბაზში. აქვე იყვნენ: გუვერნანტკა ლოლია და პეტრე ლელაძე-შორაეული ნათესავი პეტრე პჭკიალაძისა.

ლაპარაკი შეგვექნა უხილავ სულზედ; ვილაპარაკეთ ქაჯებზედ, კინკებზედ, ალზედ, ტყის კაცზედ და სხვა ამ გვარ სისულელეზედ. მე უნდა გამოტეხილი მდგახსენოთ ამისთანაებში ურწმუნო კაცი გახლავართ და არავითარი ალ-ქაჯი არა მქაშს.

— ყველაფერი ეს, ვთქვი მე, დიდი სისულელეა! განათლებული კაცი მაგისთანა სისულელეს არ უნდა რომავდეს.

— შემეცადარი ხარ, ჩემო მეგობარო! შემომოიტია პეტრე პჭკიალაძემ: წარმოიდგინე ყველა ძველგებურ სასახლეში დაბინავებულია თითო ავი სული, — თითო მოჩვენება.

— არა ბატონო ჩემო! ეგ მხოლოდ მოთხრობილია რომანებში და საინჟინერო სთან მაგას არავითარი კავშირი არა აქვს.

— თქვენც არ მომიკვდეთ, განაგრძო პეტრემ: აი თუ გინდ აიღეთ ჩვენი სასახლე ყოველთვის შუადამისას ნელა-ნელა შემოიბარება ხოლმე ჩვენს აივანზედ თეთარი გამოწყობილი მოჩვენება; გაივლის ხოლმე სასადილო ოთახს და სადღაც შორს ქალბატონ ლოლიას ოთახთან ქრება და ერთი საათის შემდეგ იმავე გზით უკან ბრუნდება ხოლმე. ამ საუბრის დროს ქალბატონ ლოლიას გადავხედე და ხელათ დავრწმუნდი, თუ რას ნიშნავდა პეტრეს საიდუმლო მოჩვენება. როდესაც ჩვენ მივდიოდით, მე გაუარე პეტრე პჭკიალაძეს

— აი, რა გითხრათ, მეგობარო! მე გულთმეხანი ვარ და თან მაგისთანა მოჩვენებას ჩემი, როგორც გულთა მხილა-



ღირეპტორი: თქვენ, ეი! მეფსოვებო! საჭირო არა ხართ, მიბრძანდით! უთქვენოთაც ავაესებთ ნაგვის „ტრაქას“.

ვის, ძლიერ ეშინია; თუ გინდა მე მოჩვენებას თავიდან მოგაშორებ.

— ძვირფასო, ვერ წარმოიდგენთ როგორ დამავალებთ. მე მზათა ვარ ყოველგვარი დახმარება აღმოვიჩინო, თუ საჭირო იქნება.

— არაფერი საჭირო არ არი. შენ შენთვის მოისვენე, არავის არაფერი უთხრა მე შეველ სასადილო დარბაზში და იქი-დგან უთვალ-ყურებ მოჩვენებას. თქმა და შესრულება ერთი იყო. დავწვევი დარბაზში, მოვიზადე რეველვერი და დავიწყე სივარის წევა. დიდხანს ლოდინი არ დამჭირდა. მიწყნარდა თუ არა სუყველადი, მომესმა ნელი ნაბიჯი და პატარახანს უკან კიდევ შემოვიდა მაღალი ტანის კაცი ზეწარში გამოხვეული.

— ადგილიდან ფეხი არ დაძრა! შეუძახე და რეოლვერის ლულა შუბლში დაუშობინე.

— ვასილ პეტროვიჩ, თქვენა ხართ? აკანკალებული ხმა მომესმა.

— მე გახლავარ და დღეის შემდეგ აღარ გავებო, შე ყურუშსალო, ასეთი ეშმაკობა. დაკეცე შენი ანაფორა..

— თუ ღმერთი გწამს, არ უთხრა პჭკიალაძეს, თუ მე აქ მნახე.

მეც შევპირდი, რომ ამ შემთხვევას საიდუმლოთ შევიჩახავდი და ისიც დამშვიდებული წავიდა თავის ოთახში.

— როდესაც ლელაძე წავიდა, ავიღე მისი მოსახურავი, გავეხვიე და ნელის ნაბი-

ჯით წაველი, ქალბატონ ლოლიას საწოლ ოთახში. კარები ღია დამხვდა...

— თქვენა ხართ? შემომესმა ქალის წერილი ხმა.

— დიხ მე გახლავარ თქვენი ვასო, წავიბუტბუტე ნელი ხმით, რომ ჩემი ვინაობა ხმით არ გავეგო. ლოლია მსწრაფად კისერზედ შემომხვია და დამიწყო ცხარე კონცა, — დიდხანს, დიდხანს მყავდა გულში ჩაკრული

ორი საათის შემდეგ გამოველი ქ—ნ ლოლიას ოთახიდან.

მეორე დღეს საუზმის შემდეგ მე წაველ. წასვლამდის კი აუხსენი ჩემ მეგობარს, რომ მოჩვენება უკვე ვნახე და კიდევ ისე დავაფთხე, რომ ამის შემდეგ სასახლეში აღარ გამოჩნდება მეთქი... საუზმეზე ლოლიას ხშირად ფერი ეცვლებოდა და ხანდახან საშინლად გადმომიბრიალებდა ხოლმე თვალებს...

ერთი თვის შემდეგ შეხვედი პჭკიალაძეს და ვკითხე:

— როგორ არის თქვენი მოჩვენება? კი-დევი დაიარება?!

— წარმოიდგინეთ, თქვენ რომ წახვედით ერთი თვე არ გამოჩენილა, შემდეგ კი, ხელახლა ყოველ დამე დაიწყო სიარული...



ჩქარა მიაყარე კაცო! ფულის პარკები არავენ დაინახოს, თორემ შენი მტერი!..



— შენ როგორ გგონია, ვლას! რამდენს მოგვცემენ?
— მე კი ღირებულებას ხუთას მანეთს დამპირდა და შენი კი არ ვიცი!..

**305 რას ვიძრობს—ღამი
ძილი რომ გაუპარეთმა?**

სტოლიპინი: აახ, რა ქირათ მოვიწვიე ეს ოხერი ღუმე? რამდენი ლანძვევა, რამდენი დამცირება გადავიტანე ამ ორ-სამ თვეში? ისე გახადეს ჩემი მინისტრები და იმდენი ლაფი ასხეს თავს, რომ მგონი დნებრისა და ნევის წყალმაც კი ვეღარ გარეცხოს!.. მაგრამ... გამაგრდი გულო! ვიდრე პირში სული მიდგა, მე ჩემ უფლებებს არავის დავანებებ! დეე მაგონონ! დღეს თუ ხვალ ისეთ ხრიკს მოუდებ,

რომ, მგონი, კუღით ქვა ვასროლინოთ! მე სტოლიპინს მეტყვიან. მე ხომ ვიტტე არა ვარ, რომ რასმეს შეუშინდე? ჩემი გადაწყვეტილება მტკიცეა და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ჩემს იდეას განვახორციელებ! მერე კი... ჩემს შემდეგ... თუნდა ქვა ქვაზედაც ნუ იქნება. აი გავრეკ მეორეს, მოვიწვიე მესამეს; ვატრიალებ ჩემს ნებაზე და ისე დავაშორებ ხაზს რევოლუციისათან, როგორც სამოთხეს ჯოჯოხეთისგან! გამაგრდი გულო! მომავალი ჩვენია და გამარჯვებაც ჩვენ დავგვრჩება! ღმერთი ჩემსკენ იყოს, თორემ

ენმაკები რას დამაკლებენ?!.. ენაყალღე მემარჯვენების დეპუტატებს! სწორეთ, რომ ძალის ქონითა აქეთ პირი მოქნილი... მეტადრე პურიშევიჩს: მემცხეარის ძალღიკ ე არ იქნება ისეთი კაპასი, როგორი კი არის! რა უფუთ, რომ მალ-მალ ავღებენ? ეს უფრო გაამწვავებს ჩემ პატიოსან ხულიგანებს და პაგრომი დაიწყება! აახ! რა კარგათ იყო მოწყობილი შარშან პეტერბურგში საქმე? წარმოიდგინეთ, პოლიციის დეპარტამენტის ქვეშ საიდუმლო სტამბა! მაგრამ ეებს! ამაზე მოგონებაც კი შეტია! უფრო უარესს მოვლოდენ! წმიდაო სერაფიმე საროველო! შენ დამწერე შენი წყალობის ჯვარი!..

კრუშევანი: ეს ოხერ ტიალი, ძილშიაც კი სულ მემარცხენეები მეღანდებიან, აი დაღებვა ღმერთმა კი სიზნაირი მე ვნახე: პურიშევიჩს შშ მუხლის ძალით ღუმიდან კინწის კვრით ავღებდენ. მე წამოგები და... დაფიყვრე: „რუკი ვერს! კრამოლნიკი“ მეთქი და კიდევ გამომღვიძა! არა, საქმეს როგორმე უნდა უშველო, თორემ ერთ ხულიგანსაც არ დავტოვებენ დუმში! უნდა ქალაქები დაეინაწილოთ და ერთდროულათ უნდა დაეწყეთ პაგრომები! ბობრინსკის კომინევი გავგზავნი, კრუშენსკის—ოღესაში, პურიშევიჩს—ბელოსტოკში, შულგინს—რიგაში, სტენბოკ-ფერმერს—კრონშტადში, ვოსტოროგს—მოსკოვში დავტოვებ და მე კი მოვკურტხლავ თფილისისაკენ. „ნოვოე ვრემია“, „რუსკი ზნამია“ ღვეჩე“ სივანლს მოგვცემენ და ერთსა და იმავე დროს უტებს დაფიყობთ ყიდებისა და კრამოლნიკების ხოცვას. ოხ! ღმერთო! ერთი იმათი სისხლით გამაძღე და მერე თუ გინდა პირიდან ამოსასვლელი სული—სიღვანაც უნდა გამეპაროს, აღარ ვინაღელი!..

„ვარსკლავთ პალატა“: ჯაან! ჯაან! ჯაან! როგორ თავაზიანათ მიიღო „შინ...“ ჩვენი დღეგატები?!.. ყველას საითათათ გამოვლამარაკა და მამაშვილური დარიგება მისცა! ოხ! რა ბედნიერებაა—მის წინაშე წარსდგომა და მის აღმატებულესობასთან საუბარი! მაშ ესე, ჩემო სუგრუმულა ხულიგანებო! ყველაფერი ხელს გვიწყობს! ერთი ამოძახილი და მთელი ჩვენი რაზმი ფეხზე დადგება! მხოლოთ „მონოპოლიას“ რამდენიოდე ბოკა არაყი უნდა შეუკვეთოთ და თითო მანეთიც საჩუქრათ გადავდლოთ, რომ რიგანათ მოეწყოს საქმე! ხომ იცით: **Пьяному море-по коблени.**

უწმინდესი სინდონი: ვედრებითა წმიდათა დიდთა მოციქულთა და ღვაწლით შემოსილთა მამათა ჩვენთა ღირსისა და ნეტარხსენებულისა შამისა ჩვენისა მიტ-

როპოლიტიკის ანტონისათა, ღირსთა მათა ჩვენთა მღვდელმთავართა ველოვისა პლატონისა, დიმიტრი აბაშიძისა, ექვთიმე ელიცისა და ღირსთა დეკანოზთა იოანე ვოსტროვოვისა, და იოანე კრონშტანდელისა და წმიდისა მღვდელ მონაზონისა ილიოდორისა და ძმისა მისისა ახლთ გამოამცხვარის დეკანოზის დიმიტრი მეტრეველისა, მოუწოდებთ ყოველთა მსახურთა რუსეთის ეკლესიისათა განდევნონ მუნთი-გან ადგილობრივი ენები, გარდაქმნან ეკლესია ხულიგანთა ტრიბუნთა, დასახიჩრონ მოძღვრება იესოსი და მოუწოდონ შავჩაშმელთა ჩვენთა ამოწყვეტთებრაველთა და კრამოლნიკთა, რამეთუ ესრეთ გვიბრძანებს ჩვენ სახარება ჩვენი და საჯული ჩვენი.

„ისარს“ ზოგი ქირი მარგებელიაო, რომ იტყვიან, სწორეთ ეს არის. „ამას წინეთ აზიანის ქალმა დასწერა „ღროში“, რომ „ისრის“ ნომრები შეშათ იყიდებო და უნდა გამოეტყდენ, რომ მართალიც არის. ესლა კი საქმე სულ სხვა ნიარათ დატრიალდა: ვისაც კი „ბზიკმა“ უტყინა ყველა ჩემთან გამობრბის და მეც, როგორც შეფეფრებს გამოჩენილ დისტაქარს, სიმსივნეს უტყრობ. წამალიც მზათა მაქვს: გავლესავ პატარა ნიორს, (თუმცა მყრალია, მაგრამ არა უშავსრა), წაცეხობ ხოლმე ჩემ ფურცლებს და დასიებულ ადგილებზე ვადებ. ამ გვარათ იმათ გულსაც ვივებ და „შეშასაც“ ვასადებ! აქამდის თუ ხმას არ ვიღებდენ ეს იმიტომ, რომ „ბზიკში“ ეშმაკი მეფელებოდა, ცოტა არ იყოს, შიში მქონდა, ვი თუ ჯოჯოხეთის უფსკრულში მიკრას მეთქი თავი; მაგრამ ამ ერთ განსაცდელს გადავირბი და სხვებისა ისე აღარ შემშინან! როგორი სიამოვნებით გადავებტყედი ეშმაკის წერილი ჩემ ფურცლებზე და განვაში დავკარ, რომ „ბზიკს“ სკა დაეშალა და ახლა კი დრო მაქვს თავლი ვსვლიო მეთქი. მაგრამ.. მგონი დედა ფურცლები არ მიმიშვებენ და „ლახვარიც“ პროვოკატორს დამიძახებს. იმას კი არ იფიქრებს, რომ ესლა გავყოყნოდი, (რაკი ეშმაკი აღარა თანამშრომლობს), მაშინათვე განვაშს ასტეხენ, რომ „ისარს“ მოუწადინებია პროვოკატორის როლი ითამაშოს ეშმაკსა და „ბზიკ“ შორის და ერთმანეთზე აქეზებსო. ასეა თუ ისე, მე მაინც მოუწოდებ ყველა იმ „პატიოსან“ პირებს, ვისაც „ბზიკის“ ნაკბენი აწინა, მე მომმართონ და მე ვიცი და „ბზიკმა.“

„თფილისის ფურცელმა“ თუმცა ჩემ საქციელს „Непродоудительность“ უწოდა, მაგრამ მე რა? როცა გამოჩენილი პოეტი ვალანდეს, რატომ მე არ მომმართა, რომ რაიმე შემწეობა აღმოგჩინა?

ბ. ღიასამიძე: ცხენს. რომ ვერაფერს დააკლებენ—უნაგირს წაუშენენ ხოლმე მეც ასე მოვიქციე!.. რადგანაც ვიცი, რომ ხალხის წარმომადგენლები პირში ბურთს ჩამჩრიდენ, მეც დაბალი ღობე მოვანხე და საწყალი რედაქტორმა გამოვიწვიე სამართალში! მე როგორც ბრწყინვალე წოდების კაცი, ძველ ტრადიციებს მივსდევ და იმას ვასრულებ, რაც ჩემ მამა პაპას გადმოუკია, ესე იგი, „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.“ ხუმრობა ხომ არ არის ათას რვაასი კაცის ყბაში ჩავარდნა? არა, იმათ ასე ეგონათ, რომ რაკი პირი მივეცი და სიტყვა ჩამომართვეს 19 კაბეკით დამეთმო, ვავსულელებოდი და მართლა მივსცემდი! ის დრო წაივდა, როცა ერთი უღვაშის ბეწვეში-შთეილ ხაზინას გვენდობოდენ, (თუ-მცა შე უღვაში და წვერიც დიდი ხანია გადავიპარსე, რომ ამ გზით არ ეკიეინებინათ ჩემთვის მამაპაპის ანდერძის გატეხვა!..) საკვირველია, ღმერთმანი; რომ კოკიც აღწუ დამიჯდა: ჩემ ბელზე ეშმაკის წერილიც გამოვიდა გაზეთში, თორემ უნდა გამოეტყდენ, რომ ცოტა იმისი შიში მქონდა, რა ვიცი, კაცნი ვართ, ჭნიშადური არ ამომისოს მეთქი! ჯერჯერობით ამ განსაცდელს გადავრჩი! ვნახოთ მომავალი რას მოიტანს!..

„ბზიკი“ ვინც რა უნდა სთქვასო, წისკილია კი ფქვასო. იმისი არ იყოს, ვისაც რა ნებადეს ის დამიძახოს, მე კი მხოლოდ ამას ვიტყვი, რომ ვისაც პილიპილი არ უტყაშია იმას პირიც არ მოეწვევბოდა, მაგრამ... მაგარიც ეს არის, რომ ზოგიერთ ვაებატონქალბატონებს გაახსენდათ თავიანთი ძველი და ახალი ცოდვები, რომელნიც დავიწყების არხივში იცო შენახული და ესლა კი, როცა მზეზე გამოფინე, ღობე ყორეს ეღებთან და თავს მართლულობენ, ვითომ არაფერიო! მაშასადამე ყველამ თავის თავს დააბრალოს, მოვაგონებ ამ ვაებატონქალბატონებს, რომ რაკ მოგივა, დავითაო, ყველა შენი დავითაო!...

მიმინო.

დაუნაქელუბის ზმირობა.

(ფულენი ა—ს.)

— ამას ვწერამ, თანაც ვშიშობ, „ზინვორებმა“ არ გამოგონ, და თავიანთ რევოლუციებით, მე „ანდერძი“ არ ამიგონ!.. ბევრმა იცის: აელაბარში ბატონობენ „დაუნაქები“, მაგრამ იქნებ არ იცოდენ რას ჩადიან „ზინვორები“!..

მათ ლიდერებს „ყავა ხანა“, აქეთ აქ განგებ გამართული, ღიავანლის ტანსაცმელით, „ზინვორები“ ჰყავთ მორთული... ეს მხეცები, ჯაშუშები ქუჩა, ქუჩა, ნავარდობენ და თუ ჩვენი ნახეს ვინმე სტარცვავენ და ტყავს აძრობენ! ხულიგანობით „ოდესვლებს“, არც ერთი არ ჩამორჩება, ვი იმს ტყავს, და მის კოლშვილს ვინც მათ ხელში ჩავარდებო!..

— შარშან რალაც განგებამა მეც ჩამავლო იმათ ხელში, მომაყოლეს მათრახები და მომღუნეს ცემით წელში

— „ზარგე, ზარგე, ანარხისტა,*) ყველა ამას იხახლდა, მათრახებით ტყავს მაძრობდენ, ზოგიც წიხლით ზედ მდგებოდა! მიმიყვანეს ვასილასთან და რა მნახა „ღენერალმა“ სილა გამკრა, თან სოხუბრათ „ტოშან ვორთი“ მომახალა. ფულს თუ მოგცემ „გაგიშვებო“, ცემის შემდეგ მე მიჩრჩეს, რომ არ მქონდა, კიდევ მეცემეს, და პაღვალში ჩამამწყვედის...

— სამი დღე და სამი ღამე, იქ ვიყავი დამწყვედელი, არ გამოშვეს, რომ ბედწემა — ვერ ვიშოვე ვერსად ფული,.. — მეოთხე დღეს, „პოლიცია“, — მოიყვანეს, — ჩამაბარეს, და იქიდან უჩასტკანდენ, ცემა ტყეებით მიმიყვანეს! იქ ბოქაულს დამასმინეს, რომ ვყოფილვარ „მდიდრის მტერი“, მეექვსე დღეს ბოქაულმა დამანახვა ციხის ქერი.

— რამდენიმე თვის შემდეგაც, „არხანგელსკში“ გამავ ზაენეს მათ ეგონათ რომ ხუთი წლით ცივ ქვეყნებში დამასახლეს; — მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, იქ ერთი თვეც არ გავძელი, დავკარ ფეხი გამოვიქე და თბილისში ჩამოვედი...**)

მებაღეშილი ანტონა.

*) ტყიპე, ტყიპე, ანარხისტია, **) თუმც ლექსი არ არის იმდენათ საინტერესო, მაგრამ თვით სიუჟეტი ამ ლექსისა სრულ სიმართლეს ქადაბებს და ნამდვილ გვისურათხატებს „ავლადრელ დაშნაკაქანების“ ფიზიონომის და მათ პოლიცია-ქანდარმერასთან კავშირს; ამიტომაც უშუაშობ აღნიღს ამ ლექსს, რომლის დაშნაკაქანების პარტიის დამაზახითეზს.

რედაქტორი.

პროვინცია.

„აირია მონასტარი“!

ს. კლდეეთი. (შორაპნის მხარა): შემთხვევამ საშინელი სიძარბოლე გამოქვეყნა: ს. ჟღენტის შუამავლობით ხალხს ტყავი გააძვრეს. ეს ტყავი განაწილეს შორაპნის სახელოვანმა გმირებმა—ნემსაქემ, ს. აბაშიძემ და ვ. საყვარელიძემ (ნახეთ „заканьис“). გამორჩათ ერთი ძმა-ბიჭი სეზისკვეროვი. მანაც აიღო თურმე და გაშანშალებული „დონოსი“ გააპარა, სადაც ჯერ არს. გასკრა ამ „თევზის წაშლიმა“ და ღიღებულნი თევზები ამოყარა წყლის მდღლა პირზე.—„შეციოხენ ხალხს: მართლა გადაგახდევინეს რამე? რათა? და რისთვისო? ენა ჩავარდნილმა ხალხმა გაბედა და... სთქვა სიძარბოლე: ს. ჟღენტი გამოგვიგზავნეს—ან მიგვეცით რამე, ან „ზეკუტისა“ ჩამოვიყენებთო. ნუ გეშინინანო, პირის კანი არ გაუსკდებოდათ, არც გაუნდებოდებოდათ! ხალხმა არჩია ამოვარდნას ქრთამის გაღება. შევაროვა საშინელი წყალებით 300 მანეთი და გაუგზავნა შორაპნის ბატონ-პატრონებს.

მხარაძე: მართალია, ჟღენტო, რის დანოსსაც იძლევიან?

ჟღენტი: სრული ქეშმარიტებაა. მე თქვენი ნებით მგონა ეს საქმე.

მხარაძე: სტყუი!

ჟღენტი: აბა, თუ ვსტყუი, ჰკითხე ვარ. საყარელიძეს, სიდაური ფულით იყიდა თექვსმეტ აბაზიანი გოჭი საადგომით და რვა ფული პასკა? აღდგომა იმ ფულმა გაუთენა და ნუ თუ ფიცავს?

ვ. საყვარელიძე: რათ დავფიცავ: მე თუ ავიღე, ამანაც აიღო...

აბაშიძე: მე თუ ავიღე, ამანაც აიღო...

მხარაძე: შენ არ ბრძანდებოდი ის ვაებატონი, ქურში რომ ემალებოდი ახალ-თაობას და მე ამოვიყენე იქიდან? წადი ისევ ქურში... გადააძვრეთ მავას სმადო!...

აკ შეიქნა ხელ-მოქმედება და ფარდაც ჩამოეშვა.

ეკოლოგ სეზისკვეროვი იტყვის, როცა გამოიქვეყნა საქმე.

ცხელ-ცხელი აბაზი.

როგორც მკითხველებს მოეხსენებათ დაშნაკაცანების უძლიერესი პარტია დაქუცმაცდა, რამდენიმე ნაჭრათ ანუ ნაკუწებთ იქცა: ზოგმა რევოლიუციონური დაშნაკაცანი დიორქვა, ზოგმა დროშაისტი, ზოგმა მილრანკანი, ზოგმა ვასილაკანი (ავლაბრის ლეიტენანტის ვისლ შახნაზარანის პატრიარქატის), ზოგმა აზგასერი, ზოგმა დაშნაკაცულნი,

ზოგმა სოციალისტ დაშნაკაცულნი და ზოგმა კიდენ რა; ელხაზან ყველა ამ ზემო ჩამოთვლილ ფრაქციებს გამოეყო სომხების ერთი ნაწილი მოსწავლე ახალგაზრდობა და ავლაბარში დაარსა ახალი პარტია, რომელსაც სახელით დაარქვა „განმანათლებელ დაშნაკაცულთა პარტია.“ პროგრამა მათი მეტათ საყურადღებოა მით, რომ ამ ვაებატონებს და ქალბატონებს ცეკვა თამაშით, ანუ როგორც თითონ უწოდებენ, „ტანცაობით“ რუსეთში ღიღი რევოლიუციის მოხდენა მოუწადინებიათ! შეიკრიბება რამდენიმე ათეული ბარიშნა-კავალერი, მიღიან ხოჯივანქის სასაფლაოზე, თან საკრავები მიაქვთ—გიტარა, სკრიპკა, თარი, ქიანური და სხვა. უნდა უყუროთ, თუ რა თავგამოდებით „ტანცაობენ“ კავალერი და ბარიშნა და თან ვაჭვიან: „Да здравствует партия Дашнакционновъ—просвѣщеніе.“ „ტანცაობის“ დროს ყველა ერთმანეთში ირევე, ერთი მეორეს ხელიდან სტაცებს ბარიშნას, (რასაკვირველია, რევოლიუციონურის გზით; ხელის კვრით და იქით გავდებით) იმართება ბლლარტუნი და ბარიკადების მაგიერ საფლაოების ქვევს უკან დამალვა,—იქიდან ქვის სროლა და ნიშნის ამოღება რომელიმე ბარიშნისა, რომელსაც კავალერი ქვევს მაგიერ თხილის—წაბლის ნაჭუქებს ესვრის, (ალბათ ყუშმარის მაგიერ) და ასე ამ ვივარათ ეშხადებიან მომავალ რევოლიუციისათვის. ჩვენ რაღა დავგრჩენია, მკითხველო? უსურვით ამ ახალგაზრდა პარტიას, რომ ყველა შევნებული დაშნაკაციანი ტანცეისტურათ გამოეყენოს და როდესაც პროლეტარიატი ბარიკადებზე სისხლს დაღვრის, დაშნაკაცულეებმა თარი და ქიანური დაუკრან, ბარიშნები ატანაოან და თხილის ნაჭუქებით ეარზიყონ მომავალ დედებს.

ღეკეშები.

პატიმარბი. თბილისში ჭეშმარიტ რუსთა კავშირს. ამ თვის დამლევს ჩამოვალ. მოამზადეთ რაზმი პავრომისათვის, დროშა მომაქვს, „კამანდირი“ მომცავს. ეს ამავე განყოფილებებში აცნობეთ.

პოვოლაკი კრუშევი.

იქილანგი. დღეს მიიღო პრემიერ მინისტრმა დეპეშა „გოლოს კავკას“-ს რედაქციისგან. რედაქტორი სიხოვს (ქეშმარიტ რუსთა კავშირის სახელით) გამოცხადდეს სამხედრო დიქტატურა და რევოლიუციის ჩასაქრობათ იაზონის ჯარი მოიშველიოს.

ქუთაისი. გუშინ წინ, როგორც ხმა დადის, ყაჩაღებმა ვაქარცეეს წიგნის მღაზია „კოლხიდა“. წილეს 160 ფული წიგნი. პოლიციამ ავაზაკების აღმოსაჩენათ სასტიკი ზომები მიიღო.

პვირილა. სოგრატ აბაშიძეს, სეზისკვერადეს და ვარდენ საყვარელიძეს გლეხებისთვის ქანქარი—აუქაფავს; ამისათვის სამივე სამსახურიღგან დაუთხოვნიათ.

იქილანგი.—მოვიდა... (?) ვაჭვირე პურ მარლით მიეგებენ. სოგრატ აბაშიძეს ებოძა პრავორჩიკობა.

ქუთაისი.—სეზისკვერადე, წარდგენილია პოლკოვნიკის ხარისხზედ.

ქუთაისი.—გ. ჩუბინიძეს ებოძა ხახვის მენდალი უქვეშევრდომილესი გარნობების გამოცხადებისთვის:

პითაურა.—„ბუჩქმა“ ისე გააბრაშა აქაური „ნამესტნიკი“ „მათრახაძე“, რომ ლოგინათ ჩავარდა. ისრის რედაქციას სთხოვს „პრიმორჩეხი“ გამოუგზავნოს. წიფასა და ვარვარინოს შუა დარაჯები დააყენა, რომ მეორე „ბუჩქიც“ არ შემოეპაროს და უარესათ არ გაასიოს.

ღია წერილი ს. მერკვილაძეს.

თქვენი გამოწვევა საამხანაგო სამართალში აღტყობთ მივიღე. ან გამომყევით, ან ახლავე მოიხადეთ ბოლიში.

ს. გაჩეჩილაძე.

ღია პასუხი თავად გ. დიხსამიძეს.


მე თქვენ წინადადება მომცით შუა კაცის პარით, რომ საამხანაგო სამართალში გამოვყოლოდი. მეც სრული თანგაძმობით მივეგებებოდა წინადადებას. თინა ბაქრაძის მამოვრადეც მე გავებთ პასუხს. ეს მე წერილითაც გაცნობეთ. პასუხი კი არა მაქვს, თუცა ევლი მოუთმოდებლად. მაშინ თქვენ და „ისრის“ „მონასტი“ და მის კულ „სპირანასაც“ დავუმტყიცებ, რომ კერძო ინტერესით მე თქვენთან არავითარი საქმე არ მქონია, კერძო ინტერესებით არასფერი არ დამიწერილა „ბუჩქში“ და არც შემიტანია ლიტერატურაში „შანტაისტობა“, რომ აროდეს არ ვყოფილვარ თქვენი მაკლერი, რაც თქვენ უკეთ უნდა იცოდეთ, არც თქვენი მეუღლის მამულების „სპეკულიანტი“ და სხვა ამისთანები.*) თქვენ კი უნდა დამიმტყიცოთ, რომ იმ მამულების შესახებ თქვენ ჯერ ჩემთან არ გქონოდესთ არავითარი საქმე, მერეც „ახალწინის“ კომისისთან, რომლის დანიშნულზეც მე ვიყავი თქვენთან მოსლაპარაკებულად, რომ არავითარი „პატიოსანი“ სიტყვა არ მოგვეცეს ამ მამულების შესახებ (მაიხსენეთ „პაშუსტა!“ რის გამოც ჩაავდეთ თქვენ მთელი კომისია ხალხის ყაზში...)

დავშთები პატივისცემით **ს. გაჩეჩილაძე.**

(*ბატონმა „მონაშ“ მკითხველი საზოგადოების თვალის ახვევა მოიხდომა სიტყვით, რომ ამით გული მოეფხანა „ბუჩქის“ დატყინებისთვის. ვერ გამოდგა კარბი მღაზი! საქმე სხვაფერ აიხსნა, როგორც ეს ჩანს ჩვენს სარევიზიო კომისიის მოხსენებიდან.

ს. გაჩეჩილაძე.

ქვაძე.




ანარხისტები.

ტრულოვიკები.

კადეტები.

მემარჯვენე.

ესღვივები და ესერები.



დუბროვინი: „ღაერაზმენით პაგრომებისთვის!

ხულიგანები: მზათ ვართ, თქვენო აღმატებულეზავ!

ი ყ ი ღ ე ზ ა

ვერაზე, საბურთალო—დელისში გ. დისამიძის ადგილების მახლობლად საუკეთესო ვაკე საფარაკო ადგილები ალექსანდრე და ნიკოლოზ გაბაევიების მამულში, თითო სამოსახლო ზომით 500—700 ოთხ-კუთხედ საენამდე ფასად—წმინდა ოთხ-კუთხედა საყენი 15—20 კაპი კაჟდე. არც ქუჩების ფასი, არც კანტორის, არც სხვა წერილი ხარჯი, არც გაზომის ხარჯები არ გადახდებათ მყიდველებს, გარეშე „ზაპროდაენი ზაისების“ და კუჩების გაკეთების ხარჯებისა. „კუჩების“ გაკეთება შეიძლება სამოსახლო ადგილის სრულ ღირებულობის წარმოდგენისთანავე. ვისაც არ შეუძლია ერთად ფულის შემოტანა, მაშინ ის შემოიტანს სამ ნაწილად მთელი სამოსახლო ადგილის ღირებულობას ერთი წლის განმომავლობაში. ესაა უმთავრესი ჩვენ პირობანი. ვისაც ნებავეს, შეუძლია მიმართოს ალექსანდრე გაბაევს და ბავრატ თორაზოვს ვერის დაღმართზე, სადა ქალაქის სასწორი დგას. ქალაქის ხორცის მაღაზიაშია კანტორა.

პასუხათ ბ. გრიგოლ დისამიძეს.

„ისარის“ №-ში მოთავსებული თქვენი ღია წერილი, სადაც მე მიწვევთ სამედიატორო სამართალში. მიუხედავად იმისა, რომ თქვენ იცით უკვე, ზეე აქ არაფერ შუაში ვარ და მეც, რომ სადაო საქმეს ისე ფორმალურად შევხედო, როგორც თქვენ, მაშინ შემეძლო არც პასუხი გაეცეა და არც სამედიატორო სამართალში გამოგვლოდით, მაგრამ მე ამ თვლით არ უყურებ

საქმეს; მე მზათა ვარ გამოგვყეთ სამედიატორო სამართალში. ბოხვით დანიშნათ დრო.

თინა ბაქრაძე.

„ოზნუჯის“ № 2 მოთავსებული ლექსი ა. ლ. მახარაძის და ს. ნაკაიძის შესახებ—შეცდომით იქნა დაბეჭდილი—და, როგორც გავიბეთ, მახარაძის და ნაკაიძის ერთმანეთში ჰქონიათ რაღაც უმეცყოფილება.

ახალი ელექტრომბეჭდავი სტამბა

ამხ. სოკრაპანი

ღებულობს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს დაკლებულ ფასებში.

სტამბა მოთავსებულია მადათოვის კუნძულზე ან. მუხრანსკის სახლი № 1.

გამომცემელი პლ. გაჩეჩილაძე.